ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4336759

ნომერი: AR1654399

თარიღი : 09.01.2019

გაცემის თარიღი : 15.01.2019

გაცნობის თარიღი : 15.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კორნელი კეკელიძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ გრიგალაშვილი პ/ნ 57001006797
- საქართველო, ხაშურის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ხაშური, იმერეთის ქუჩა, N 158

ორგანიზაცია:

- ელიტ დისტრიბუშენ 21 კოდი: 443863687

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია ფასადის მსგავსი ფერით შეღებვა. წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით იგი მკვეთრად განსხვავდება შენობის ფასადის ფერისგან, რაც მეტად არღვევს მის იესახეს.
წარმოდგენილ იქნეს განახლებული ფოტომონტაჟი, და გაითვალისწინეთ : თუ იგეგმება საპროექტო ფასადის შეღებვა, იგი იდენტური უნდა იყოს არსებული შენობის ფასადის ფერის.

2. წარმოდგენილი ხელშეკრულება არ არის დამოწმებული აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის, შპს „პროკრედიტ ფროფერთის„ მოქმედი წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. ასევე საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია ვალდებულება, რომლის საფუძველზეც მყიდველს ეკრძალება ქონების ნებისმიერი ფომით გასხვისება, დატვირთვა, აქედან გამომდინარე ვინაიდან უფლებრივად დატვირთვა განხორციელდა ქონების საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სოსო ჭანტურიას სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ასევე შესაძლებელია ვინაიდან საბოლოო თარიღად ვალდებულების მითითებულია 2014 წლის პირველი აპრილი, განახლდეს ამონაწერი და აღნიშნული ვალდებულება აღარ ფიქსირდებოდეს.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.